



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N2

ქ.ლანჩხუთი

27.01. 2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ განმარტა, რომ დღის წესრიგის პროექტი განსაზღვრულია საკრებულოს ბიუროს მიერ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ.ფაცურია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ.ფაცურია/

8. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ.ფაცურია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

11. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებამდე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძემ** თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ბესიკ ტაბიძეს, რომ დღის წესრიგის პროექტის მეათე საკითხი გადაეტანათ მეექვსე საკითხად, რაზეც საკრებულოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს,

განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
- დ) სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა;
- ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
- ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. გამგეობაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად და სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. გამგეობის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის გამგეობის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა-განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის საბანკო ანგარიში.

დ) სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - გახარჯული კომუნალური, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია, განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ (პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 120000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი), ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს წევრის შუამდგომლობა, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. გამგეობაში შემოსულ განცხადებებს კომისიური წესით განიხილავს სამსახური თვეში ერთჯერ მაინც ან აუცილებლობის გათვალისწინებით.

2. საჯარო პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის მიერ სოციალური დახმარების გაცემის საკითხთა განხილვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ დაინტერესებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ მიზნით სამსახურის

უფროსი უზრუნველყოფს სამსახურის მიერ სოციალური დახმარებების გაცემის საკითხთა განხილვის ადგილის, დროისა და თარიღის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის წინასწარ განთავსებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მომზადება ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

3. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

4. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 7. სამსახურის სხდომის ოქმები

1. სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვის მიზნით სამსახურის ყოველი შეხვედრისას დგება შესაბამისი ოქმი.

2. სამსახურის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება დასკვნის სახით, აისახება ამ ოქმში.

3. სამსახურის შეხვედრის ოქმის სათანადო წესით გაფორმებას, სამსახურის უფროსის დავალებით, უზრუნველყოფს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.

4. სამსახურის შეხვედრის ოქმები იკრიბება ცალკე საქალაქო რიგითობის მიხედვით.

5. ოქმის სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სამსახურის უფროსი.

მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. გამგებლის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტის თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „კ“ პუნქტით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ

შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით.

მუხლი 9. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

2. გამგებლის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ იყო საკრებულოს წევრის სავალდებულო შუამდგომლობა სოციალური დახმარების გაცემასთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული სამსახური სრულად უნდა იყოს აღჭურვილი სამუშაო პირობებით. ამასთან, მასში დასაქმებულმა ადამიანებმა უნდა უზრუნველყონ მომართული განცხადების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. თუ დეპუტატები არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ეს სამსახური ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას ისე ჯეროვნად, როგორც საჭიროა და სწორედ ამიტომ ცდილობენ საკრებულოს წევრის შუამდგომლობის გათვალისწინებას, ეს მათი ნებაა. დეპუტატის აზრით, იმისთვის, რომ აღნიშნულმა სამსახურმა უზრუნველყოს ფინანსური თუ არაფინანსური დახმარების თვალსაზრისით სათანადო პასუხის გაცემა ნებისმიერ განცხადებაზე, აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს ასეთი შუამდგომლობის წარდგენა და ეს სრულებითაც არ არის საკრებულოს წევრის დაკნინება.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე: 24 დეპუტატი, თავი შეიკავა 1 დეპუტატმა (ნონა მურვანიძე)

მიღებულ იქნა დადგენილება N1 (27.01.2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**, მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების სოციალურ-კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა;
- ე) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- ვ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ზ) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- თ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ი) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის შუამდგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

მიღებულ იქნა დადგენილება N2 (27.01. 2017 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომერემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებმა ნონა მურვანიძემ და ელისო ჭიჭინაძემ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება. რაც შეეხება დეპუტატ ელგუჯა ჩხაიძის განცხადებას აღნიშნული კომისიიდან გასვლის შესახებ, ელექტრონულ სისტემაში არსებული ხარვეზის გამო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას მიეწოდა დაგვიანებით, როცა სხდომა უკვე ჩატარებული იყო. აქედან გამომდინარე, აღნიშნულთან დაკავშირებით განკარგულების პროექტი მზად არ არის, მაგრამ საკრებულოს წევრის განცხადება მიღებულია წარმოებაში, ამიტომ მას უკვე ოფიციალურად აქვს დატოვებული საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა კომისიის დატოვების შესახებ განცხადება უნდა დაწეროს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის სახელზე, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეპუტატმა ელგუჯა ჩხაიძემ განცხადებით მიმართა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. შესაბამისად, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას დაეწერა წერილი, რის შემდეგაც აღნიშნული კომისიის სხდომაზე საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** გააკეთა განცხადება კომისიის შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განმარტა, რადგან სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა ჩატარდა მოგვიანებით, ამიტომ ის ინფორმაციას აქამდე არ ფლობდა. მართალია, განკარგულების პროექტი მზად არ არის, მაგრამ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის კომისია განიხილავს და მოამზადებს დოკუმენტაციას.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N2 (27.01. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N40 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ მიიღო გადაწყვეტილება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შესავლასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი გახდა წარმოდგენილ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განხილული და მომზადებულია.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N3 (27.01. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკომიგრანტების 2017-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ იქნა შესაბამისი პროექტი, რომელიც შეეხება 2017-2021 წლებში შესაძლო ეკომიგრანტების სტრატეგიის საკითხს. მის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული როგორც მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე საკრებულოს წევრები და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. დეპუტატის აზრით, ეს დოკუმენტი იდეალურისგან შორს არის, მაგრამ თავისი შინაარსით საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან თანამშრომლობის გამოხატვის შემთხვევაში, ევროკავშირმა სამომავლოდ შესაძლოა მეტი თანხა გამოყოფს პრევენციისა და საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი განხილულ იქნა კომისიის მიერ. პირველი და აუცილებელი გადაწყვეტილება, რაც აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ იქნა მიღებული, შეეხება მონაცემთა ბაზის შექმნას. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მიღებული N779 ბრძანება პირდაპირ ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს, რომ პირველ რიგში შეიქმნას მონაცემთა ბაზა, რომელშიც აღრიცხულ იქნება, თუ რამდენი ადამიანი ისარგებლებს ამ სტატუსით. მეორე ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს, არის თავშესაფრის მოწყობის საკითხი. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქირავნობის პროგრამა, რომლითაც წლის განმავლობაში დაახლოებით 37 ბენეფიციარს უფინანსდება ბინის ქირის საფასური. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს, რათა გამოინახოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა, რომელშიც მოხდება როგორც ეკომიგრანტების, ასევე თავშესაფრის არმქონე მოქალაქეების შესახლება. აღნიშნულმა სამსახურმა წარმოადგინა ორი ალტერნატიული შენობა-ნაგებობა. ესენია - ყოფილი ინტერნატისა და 83-ე პროფესიულ - ტექნიკური სასწავლებლის შენობები. დეპუტატის თქმით, მისასალმებელი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის გამგებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება დაიწყებს ამ კუთხით აქტიურ მუშაობას, რათა შეთავაზებული შენობებიდან შეირჩეს საუკეთესო ვარიანტი და მასში განთავსდეს თავშესაფარი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N4 (27.01. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014

წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება. ცვლილების აუცილებლობა განაპირობა მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ, რომლის მიხედვითაც დაკონკრეტდა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა/შეცვლა, დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ ინიციატივის განხილვა და შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენა უნდა მოხდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N9 (27.01.2017 წელი).

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** სხდომას ცნობის სახით გააცნო ინფორმაცია, რომ საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის,“ დეპუტატ ომარ გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით. ფრაქციაში ასევე გაერთიანდნენ საკრებულოს წევრები ადამი ხუბუნაიშვილი და ნიკოლოზ იმნაძე. მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია როგორც კანონთან, ასევე რეგლამენტთან. აქედან გამომდინარე, ისინი გადაგზავნილ იქნა საკრებულოს აპარატს.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის

შესახებ“ საქართველოს კანონის მე 5-ე მუხლში შევიდა ცვლილება („სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე N99; 2016 წლის 16 დეკემბერი) და განისაზღვრა ახალი განაკვეთები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი პირებისათვის. ზემოაღნიშნული ცვლილება მოითხოვს „ლანჩუტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება“ N34-ის მე 5-ე მუხლი ჩამოყალიბდეს კანონთან შესაბამისობაში. სამსახურმა შეიმუშავა და მიზანშეწონილად მიაჩნია სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით მოსაკრებლის განაკვეთები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით.

ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 (ორასომოცდაათი ათასი) ლარი;

ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 %.

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 3000 (სამი ათასი) ლარი;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს, იგი უფლებამოსილია არ გადაიხადოს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

ამასთან, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის, **გიორგი ფაცურიას** აზრით, მართალია, რომ დღეისთვის მუნიციპალიტეტში ასეთი დაწესებულებები არ არსებობს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მომავალში მსგავსმა სამორინეებმა დაიწყოს ფუნქციონირება.

დეპუტატმა **ადამ ხუხუნაიშვილმა** წამოაყენა წინადადება, რომ პროექტით წარმოდგენილი მოსაკრებლების თანხები გაიზარდოს 100 %-ით, რადგან სათამაშო ბიზნესი ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე.

ლანჩუტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, საკრებულოს წევრებს შესაძლებლობა ექნებათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N5 (27.01.2017 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საუბარია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განაკვეთებზე, რომლებიც არ შეცვლილა. იგი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა) ქალაქ ლანჩუთის მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 9.12 ლარს.

ბ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 3.12 ლარს.

გ) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ლანჩუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

დ) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყლამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

ე) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა ქ. ლანჩუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N6 (27.01.2017 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ.

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5-ჯერ

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3-ჯერ.

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნება ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების ღირებულების 2 პროცენტი

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ლარებში:

- 1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული)-20 ლარი/ჰა
- 2) საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)- 16 ლარი/ჰა
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგვებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე)-73 ლარი/ჰა
- 4) საკარმიდამო-73 ლარი/ჰა
- 5) სათიბი- 20 ლარი/ჰა
- 6) საძოვარი- 16 ლარი/ჰა
- 7) სახნავი- 73 ლარი/ჰა
- 8)

განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსები (მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი, რომელმაც ერთ ჰექტარზე შეადგინა -3 ლარი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვრა შემდეგი ოდენობით ლარებში:

- 1) ქ.ლანჩხუთი- (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.24 ლარი
- 2) ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლები (წლიური გადასახადი 1 კვ.მ-ზე)- 0.216 ლარი

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას ექვემდებარება:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ.-ს

ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ.-ს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N7 (27.01.2017 წელი).

დეპუტატმა, გიორგი გოგუაძემ დარბაზში მყოფთ მიულოცა ნინოშვილის ბრწყინვალე დღესასწაული, რის შემდეგ აღნიშნა, რომ ყოფილი უნივერსიტეტის შენობის წინ გაიხსნა ავტოსადგომი, სადაც ყვითელფორმიანი პირები ავტომანქანის მფლობელებს გარკვეულ საფასურს ახდევინებენ. დეპუტატმა კითხვით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსს, გიორგი ფაცურას, ცნობილია თუ არა მისთვის ამ ფაქტის შესახებ და მიემართება თუ არა ავტოსადგომზე მოქალაქეების მიერ გადახდილი თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში. რაზეც სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ის ავტოსადგომთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

დღის წესრიგის მათე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ განხილულ იქნა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი 2016 წლის 14 ნოემბრის N1308 წერილი, რომელიც ეხებოდა ანალიტიკური პროგრამით აღჭურვილი ვიდეო კამერებით განთავსების დაფინანსების საკითხს - 49 000 ლარის ოდენობით. განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას 30 000 ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით გაიზარდოს ვალდებულებების კლება 32 375 ლარით, ხოლო აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმართოს 2017 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთი, ასევე განმეორებით განხილულ იქნას 2016 წლის 8 დეკემბრის N01/3730 წერილი მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. ამასთან, როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ „საქართველოს ბანკიდან“ შემოსულია შეტყობინება, რომლის თანახმად ისინი ითხოვენ კლუბის მიერ 2011 წლის 23 სექტემბერს აღებული სესხიდან დარჩენილი 76 738,25 ლარის გადახდას ორი კვირის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს, აღნიშნული სესხი აღებულ იქნა 140 000 ლარის ოდენობით, საიდანაც ძირითადი თანხა გადახდილია 94 000 ლარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 80 000 ლარი. 76 738, 25 ლარიდან ძირითადი თანხა შედგენს 45 742,87 ლარს. დანარჩენი ჯარიმა - საურავებია. სასამართლოში მიმართვის

შემთხვევაში კლუბს დამატებით გადასახდელი ექნება სახელმწიფო ბაჟის, აღსრულებისა და ჯარიმის სახით დაახლოებით 15 000 ლარი.

გარდა ამისა, გადასახდელია და სასამართლოსთვის მიმართვას აპირებენ „კრედიტორები“ კვების დავალიანებაზე 23 500 ლარზე და ტრანსპორტის მომსახურებაზე 15 500 ლარზე.

თუკი დავალიანების გადაუხდელობის გამო „კრედიტორები“ მიმართავენ სასამართლოს, ამ გზით ასანაზღაურებელი თანხა გაცილებით მეტი იქნება, რადგანაც დაერიცხება სახელმწიფო ბაჟის და აღსრულების ხარჯები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სასწრაფოდ მისაღებია გადაწყვეტილება 115 000 ლარის ვალდებულების კლების მუხლით გამოყოფასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ხარჯების გადახდა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გასულ წელს საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოეყო 1 250 000 ლარი. მაშინ კლუბის მესვეურების მხრიდან იყო დაპირება, რომ ამ თანხიდან საბანკო დავალიანებები გასტუმრებული იქნებოდა. დღეს კი საკრებულოსადმი მიმართულ წერილში წერია, რომ თუ არ მოხდება ვალის დაფარვა, მაშინ აღნიშნული თანხა გაორმაგდება, რომელიც დეპუტატის აზრით, ისევ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დააწვება ტვირთად. ასევე, საუბარია კიდევ სხვა ვალდებულებებზე. აქედან გამომდინარე, შესაბამისმა სამსახურმა უნდა დადოს დასკვნა, თუ რატომ წარმოიშვა ეს დავალიანებები. ამასთან გასარკვევია, რამდენად სამართლიანი და კანონიერია ისინი, რადგან რამდენჯერაც ამ ადამიანების მხრიდან მოხდება თანხის მოთხოვნა, იმდენჯერ არ უნდა მოუწიოს აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს თანხმობის მიცემა. დეპუტატმა მოითხოვა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ამ საქმესთან დაკავშირებით კონკრეტულმა პირებმა მოამზადონ და წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე, მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე დეპუტატების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაგეგმილი ყოფილიყო 13 თვეზე. დეპუტატმა მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, გათვალისწინებულია თუ არა საკრებულოს წევრების მოთხოვნა.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** აზრით, საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია გაკეთდეს გარკვეული ანალიზი. საკრებულოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიის სხდომებზე საკითხის ირგვლივ შეტანილ უნდა იქნას მეტი კონკრეტიზაცია. მაგრამ აქ მხოლოდ 115 000 ლარზე არ არის საუბარი, არამედ გარკვეული ოდენობით კვლავ დარჩენილია სხვა დავალიანებები. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 13 თვეზე დაგეგმვას, როლანდ ლაშხიამ განაცხადა, რომ ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. ამიტომ წარმოდგენილ პროექტში კონკრეტულად აღნიშნულ საკითხზე არ არის ყურადღება გამახვილებული, იმდენად, რამდენადაც ამ მიზნით საკრებულოში გამოინახა ხარჯების გარკვეული წილი, ხოლო გამგეობაში შესაბამისი ხარჯები მოსაძიებელია. მთლიანობაში

საჭიროა დაახლოებით 135 000 ლარის ხარჯების გამონახვა, რათა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში სახელფასო ფონდი გათვალისწინებულ იქნას 13 თვეზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, თუ როგორ დაუმტკიცა ბანკმა საფეხბურთო კლუბს ფულადი სესხი თავდების, გარანტიის ან ქონების უზრუნველყოფის გარეშე. დეპუტატის განცხადებით, კლუბი კრედიტის უზრუნველსაყოფად ქონებას ვერ ჩადებდა, რადგან არანაირ ქონებას არ ფლობს. ამიტომ ბანკმა კეთილი უნდა ინებოს და იზარალოს გაცემული თანხა, რადგან გასცა არაუზრუნველყოფილი სესხი. თუ კლუბისთვის გარანტიის საფუძველზე მოხდა სესხის დამტკიცება, მაშინ უნდა გაირკვეს, ვინ გასცა ეს საგარანტიო. ხოლო თუ გარანტიის გარეშე გაიცა სესხი, ამ შემთხვევაშიც შესაბამისად, ბანკმა უნდა იზარალოს. როგორც წესი, სასესხო ხელშეკრულებას უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია. დეპუტატის თქმით, საფეხბურთო კლუბს თავის დროზე აღებული აქვს სესხის სახით 140 000 ლარი, საიდანაც დაფარულია ძირი თანხა 94 000 ლარი და საპროცენტო განაკვეთი 80 000 ლარი, ამასთან, კიდევ გადასახდელია 76 738 ლარი, რაც ჯამში შეადგენს დაახლოებით 250 000 ლარს. საბოლოოდ უნდა იქნას გადახდილი 110 000 ლარით მეტი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ ვინ არის ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი და მოითხოვა სასესხო ხელშეკრულების წარმოდგენა.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** განაცხადა, რომ პირადად მოამზადებს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომისთვის ყველა დოკუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქნა კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სთვის გაცემული სესხი 2011 წლიდან დღემდე, რა ვალდებულება ჰქონდა დაწერილი 2012 წელს კლუბის მაშინდელ პრეზიდენტს, სესხის აღებასთან დაკავშირებით, რომელიც მისი დაპირების შედეგად უნდა დაფარულიყო 2013 წლის მარტისთვის. აღნიშნული სესხის დასაფარად 2013 წელს კლუბს გამოეყო 400 000 ლარი. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ არ მოხდა აღნიშნული სესხის დაფარვა და რა იყო ამის მიზეზი. მისი თქმით, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა სწორი მოსაზრება წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N8 (27.01.2017 წელი).

სხვადასხვა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე შპს „ჯანმრთელობასთან“ მისასვლელი გზა მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტომობილების გამო გადაკეტილია, რის შედეგადაც კლინიკაში მისვლასთან დაკავშირებით მოქალაქეებს პრობლემები ექმნებათ. მართალია, იქ დამონტაჟებულ იქნა შესაბამისი საგზაო ნიშანი, მაგრამ სათანადოდ მაინც ვერ მოწესრიგდა სიტუაცია. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენს დაწესებულებასთან მისასვლელი გზა, რომელიც იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში. ერთი წლის წინ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებისას არასწორად იქნა მოხრეშული გზა, ამასთან დაზიანდა ასფალტის საფარი. არსებული ვითარების შესახებ ეცნობა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს, ლევან ჩხაიძეს. საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** მოითხოვა, რომ აღნიშნულმა სამსახურმა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად გაარკვიოს, თუ რა მდგომარეობაა აღნიშნულ ტერიტორიაზე. მან ასევე ყურადღება გაამახვილა პრობლემაზე, რომელიც შეეხება შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაზიანებულ ავარიულ სახლს. აღნიშნული ფაქტის შესახებ მას აცნობა შუხუთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, აკაკი იმნაიშვილმა, რომლის ინფორმაციით, კორნელი ორაგველიძის საცხოვრებელ სახლთან ჩამოიშალა კლდე, რის შედეგადაც შენობა გაიყო ორ ნაწილად.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მას დაუკავშირდა მთავრობაში არსებული საგანგებო სიტუაციების სამსახური. ასევე, შუხუთში გამგებლის წარმომადგენელმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადგილზე საგანგებო მდგომარეობა არ არის, არამედ გამოძახება უნდა დამატებით ექსპერტებს, რათა შემოწმდეს სახლის მდგომარეობა.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა. ის დაინტერესდა, ვინ უნდა აგოს პასუხი, როდესაც რაიმე უბედურება მოხდება. საკრებულოს წევრის თქმით, აღნიშნული საკითხის მოგვარება მუნიციპალიტეტის გამგებელს ყოფილმა პრემიერ -მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა დაავალა, რაზეც **ზაზა ურუშაძემ** განუცხადა, რომ მსგავსი საკითხების მოგვარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პრეროგატივაა, რადგან მათ მიერ ხდება მოქალაქეებისთვის ქულების მინიჭება. ამ კონკრეტულ ოჯახს არ გააჩნია საკმარისი ქულები, რომ აღნიშნულმა სამინისტრომ სახლი შეუძინოს. კომისიამ ხელმეორედ უნდა განიხილოს საქმე და შესაძლებელია, რომ მათ შესაბამისი ქულები მიანიჭოს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ უსაფრთხოების მიზნით აღნიშნულ ოჯახს ქირავნობის პროგრამის საფუძველზე გამოეყოს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით. მისი აზრით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ჭავჭავაძის, ჩაჩავას, გვარჯალაძის ქუჩებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე ძალიან ცუდი სიტუაციაა დუმბაძის,

ნათლისმცემლის, წმ. ნინოს ქუჩებზე. მან მუნიციპალიტეტის გამგებელს, ზაზა ურუშაძეს შეახსენა დაპირებული 1 800 000 ლარი და დაინტერესდა, როდის უნდა გამოეყოს ეს თანხა მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, აღნიშნული ქუჩები გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგრამ დეპუტატების გადაწყვეტილებით, დამატებით გამოყოფილი თანხები გადანაწილდა სოფლებზე. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ხარისხს, ჩამოყალიბებულია სპეციალური კომისია, რომელიც ამ კუთხით ახორციელებს მონიტორინგს და სურვილისამებრ, ნებისმიერ დეპუტატს შეუძლია ჩაერთოს ამ კომისიის მუშაობაში. გამგებლის თქმით, ამ დროისთვის არც ერთ მუნიციპალიტეტისთვის არ არის დამატებითი თანხები გამოყოფილი, რადგან ცვლილება უნდა განხორციელდეს მთავრობის. N23 დადგენილებაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში გასაკეთებელია ხიდი, რომელიც 70 ოჯახს ემსახურება, მაგრამ ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ღირებულება არის 50 000 ლარზე ნაკლები, არ ფინანსდება. მისი აზრით, ძალიან კარგი იყო სოფლის პროგრამები, რომლის მეშვეობით მსგავსი პრობლემების მოგვარება დაუბრკოლებლად ხორციელდებოდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე დადგენილება, ან შესაბამისი კანონი იმასთან დაკავშირებით, რომ 50 000 ლარზე ნაკლები ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არ შეიძლება, როგორც ამას გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი აცხადებს. თავის მხრივ, დეპუტატმა ეს ინფორმაცია გადაამოწმა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსთან შოთა ჩაგუნავასთან, რომლის თქმითაც რაიმე მსგავსი გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებულია სტადიონის გაკეთება და დახარჯულია 20 000 ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას ესაჭიროება დაახლოებით 25 000 ლარი. გამოდის, რომ დახარჯული თანხა წყალშია გადაყრილი. მან ასევე აღნიშნა, რომ გაზის მაგისტრალი მოსულია ე.წ. ჯაბელის საზღვრამდე. დეპუტატი დაინტერესდა, როდის გაგრძელდება გაზიფიცირების პროცესი ჩიბათი-ლესა- ნიგვზიანის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით ოფიციალურად მთავრობისგან და არც შესაბამისი სამინისტოსგან საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მიმდინარეობს განხილვის პროცესი. შესაძლებელია, რომ სოფლის პროგრამები ისევ დარჩეს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მუნიციპალიტეტი დამატებით თანხებს მთავრობისგან აუცილებლად მიიღებს. სავარაუდოდ, იქნება შესაბამისი პროგრამა, რომელიც დააფინანსებს ისეთ პროექტებს, რომელთაც შედარებით მცირე თანხა ესაჭიროება. გამგებლის თქმით, უახლოეს ხანებში ექნება საუბარი ენერგეტიკის მინისტრთან და გაარკვევს გაზიფიცირების სკითხს ჩიბათისა და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. რაც შეეხება სოფელ ლესას, გამგებელს ჰქონდა შეხვედრა ლესელ ბიზნესმენტთან, ზაზა ზოიძესთან, რომელიც დაინტერესებულია ამ საკითხით და მზად არის ამ მიზნით გარკვეული თანხაც გაიღოს. ასევე, გაზიფიცირების პროცესი გაგრძელდება სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ პროექტით გათვალისწინებულია 1700 აბონენტის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა.

დეპუტატმა, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის მოსახლეობის ხელმოწერით შემოსულია განცხადება რკინიგზის სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების მოთხოვნით. მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას სუფსის და ჩოლობარგის მოსახლეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ის ესაუბრა დეპარტამენტის უფროსს, რომელიც თავის მხრივ პირობას იძლევა, რომ წლის ბოლომდე ეს საკითხი მოგვარებულ იქნება.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიას** დაინტერესდა, თუ როდის მოგვარდება ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების საკითხი, რადგან ჯერ კიდევ საკრებულოს წინა სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის წევრი, ნინო წილოსანიც ესწრებოდა, იყო დაპირება, რომ გაზის მაგისტრალის პროექტირება დასრულებულდებოდა 20 იანვრისთვის. რაზეც გამგებელმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში შეხვედრა აქვს ენერგეტიკის მინისტრთან და სავარაუდოდ, გაზიფიცირებასთან დაკავშირებით იქნება კონკრეტული პასუხები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ თ. ფირცხალაიშვილის სახლ-მუზეუმს ჩაუჭრეს ელექტროენერგია, რადგან კულტურის სამსახურის მიერ 4 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა დაზიანებული მრიცხველის შეცვლა, რადგა, მათი განცხადებით, მრიცხველის შესაძენი თანხა არ გააჩნდათ. საკრებულოს წევრი, იოსებ სარჯველაძე, რომელიც ამავე დროს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომელია, თავისი პასუხისმგებლობით ცდილობდა ამ ხნის განმავლობაში უშუქოდ არ დაეტოვებინა სახლ-მუზეუმი.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ იქნებ მოხერხდეს გამგებლის და საკრებულოს მიერ შუამდგომლობის მომზადება საგზაო დეპარტამენტის სახელზე, რათა ლანჩხუთი - სუფსის საავტომობილო მაგისტრალზე მოწესრიგდეს გარე განათების საკითხი, ვინაიდან ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** ყურადღება გაამახვილა ისეთ სასიამოვნო ფაქტზე, რომელიც შეეხება „მ. ჩაჩავას“ სახელობის საავადმყოფოს სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებას. დეპუტატმა მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს, რომლის დახმარებით და ხელშეწყობით უახლოეს მომავალში განხორციელდება მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. მან ასევე მადლობა გადაუხადა ქალბატონ ლალი ლომაძეს, რომელმაც აღნიშნული პრობლემის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ია ჩხაიძის აზრით, უდავოდ მადლობის ღირსია საავადმყოფოს მედ - პერსონალი, რომელიც წლების განმავლობაში უძლებდა უშუქობას, უხელოფასობას, მაგრამ მაინც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ადგილობრივ მოსახლეობას და უპრეტენზიოდ ასრულებდა დაკისრებულ პროფესიულ მოვალეობას.

დეპუტატმა, **თეიმურაზ მარშანიშვილმა** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა წყალწმინდის მკვიდრ, სვეტა იმნაძეს, გაეწიოს დახმარება სამშენებლო მასალის შეძენის სახით. მას სოფელმა გამოუყო პატარა შენობა, სადაც ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ზაზა ურუშაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ მოქალაქეს გადაეცა

დახმარება 800 ლარის ოდენობით. ასევე შესთავაზეს სამშენებლო მასალით და გარკვეული თანხით დახმარება.


დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** შეახსენა მუნიციპალიტეტის გამგებელს საარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ შტაბის მხრიდან გაცემული დაპირება, რომ მოსწავლეების სკოლაში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ისინიც გაწევდნენ გარკვეულ ხარჯებს, მაგრამ არსებობს უტყუარი ინფორმაცია და კონკრეტული პიროვნებები, რომელთაც დღემდე არ მიუღიათ შესაბამისი ანაზღაურება. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, ლანჩხუთის მკვიდრი, მარიამ ურუშაძე გავიდა პროექტ „ნიჭიერის“ ფინალში. მან მიმართა ზაზა ურუშაძეს, რათა მან გასცეს შესაბამისი დავალება პატარა მარიამისთვის სატელეფონო ზარებით დახმარებასთან დაკავშირებით. მან მადლობა გადაუხადა დეპუტატს და აღნიშნა, რომ ის ისედაც აპირებდა ამ კუთხით გარკვეული ღონისძიებების გატარებას. ზაზა ურუშაძემ მოუწოდა ყველას, შეძლებისდაგვარად დაუჭირონ მხარი პატარა მარიამს. გამგებლის ამ მოწოდებას შეუერთდა დეპუტატი ალექსანდრე სარიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მარიამ ურუშაძემ ნამდვილად ასახელა მუნიციპალიტეტი და ყველამ უნდა გამოიჩინოს ერთსულოვნება, რათა ხელი შეუწყონ ამ პროექტში მის გამარჯვებას.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** გულისტკივილი გამოთქვა წყალწმინდაში ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალების გამო და აღნიშნა, რომ ეს საგანგაშო სიტუაციაა. გაირკვა, რომ გარდაცვლილის ბიძა დაიღუპა ე.წ. მღრღნელების ვირუსით. ქ. ფოთიდან მოსულია დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ ზვიად გოგორიშვილიც ანალოგიური დაავადებით გარდაიცვალა, ამასთან, მათი მეზობელი იმყოფება ძალიან ცუდად. საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ ამ კუთხით გატარდეს საჭირო ღონისძიებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ბესიკ ტაბიძემ** განაცხადა, რომ ეს მართლაც ყურადსადები ფაქტია. ამ საკითხთან დაკავშირებით მან ინფორმაცია მიაწოდა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს, ვლადიმერ ჩხაიძეს, რათა ჩატარდეს ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი მოკვლევა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს ბიურო